



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„არქიტექტურის რესტავრაცია“
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი - 25.12.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი - 10.01.2024

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	9
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	9
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	16

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851545
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ხაბეიშვილი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	არქიტექტურის რესტავრაცია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Architectural Restoration
უმაღლესი განათლების საფეხური	I (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ბაკალავრი არქიტექტურის რესტავრაციაში Bachelor of Architectural Restoration
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0739 არქიტექტურა და მშენებლობა – არაკლასიფიცირებული / Architecture and Construction - not elsewhere classified 0739.1.1 არქიტექტურის რესტავრაცია / Architectural Restoration
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №159, 21/10/2011
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

• ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

სსიპ „თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის“ (შემდგომში - დაწესებულება) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „არქიტექტურის რესტავრაცია“ (აკრედიტაციის ეტაპზე პროგრამის დასახელება იყო: „არქიტექტურის რესტავრაცია/კონსერვაცია“) 2012 წელს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (№159, 21/10/2011) მიენიჭა აკრედიტაცია. აკრედიტაციის მიღების შემდგომ პერიოდში პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები - ასე, მაგ., შეიცვალა პროგრამის დასახელება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (აკრედიტაციის ეტაპზე იყო: „რესტავრაციის ბაკალავრი, კოდი 1106, დღეისათვის - „ბაკალავრი არქიტექტურის რესტავრაციაში“, კოდი 0739.1.1), გარკვეული ცვლილებები განიცადეს პროგრამის შედეგებმა და შინაარსმა. 2023 წელს მოდიფიცირებული პროგრამა წარდგენილ იქნა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. თვითშეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების შესწავლის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული გასაუმჯობესებელი მხარეები. აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული შეფასება და რეკომენდაციები, ასევე დაამატა ორი რეკომენდაცია და მიიღო გადაწყვეტილება დაევალოს დაწესებულებას „არქიტექტურის რესტავრაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს სხდომის ოქმში (MES 5 23 0000913877, 21/07/2023) მოცემული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის კურიკულუმში და დაწესებულების ვებ-გვერდზე მოცემული ინფორმაცია, რადგან წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის პირველ გვერდზე მოცემული პროგრამის სახელწოდება „არქიტექტურის რესტავრაცია/კონსერვაცია“ (დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს სხდომაზე 2020 წლის 27 ივნისი, ოქმი № 9) და ასევე დაწესებულების ვებ-გვერდზე პროგრამის შესახებ მოცემული ინფორმაცია არ შეესაბამება მოდიფიცირების შემდგომ (თვითშეფასების ანგარიშში მითითებულ) პროგრამის სახელწოდებას „არქიტექტურის რესტავრაცია“;
- რეკომენდებულია, საკითხის კომპლექსური გააზრების საფუძველზე განისაზღვროს პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსი და მათი როლი შედეგის ფორმირებაში (საფუძვლების შექმნა, გაღრმავება, განმტკიცება), ასევე, დაკორექტირდეს „სწავლის შედეგების შეფასების“ რუკა - მიეთითოს ყველა ის სასწავლო კურსი, რომელიც მონაწილეობას პროგრამის შედეგების ფორმირებაში;
- რეკომენდებულია, კანონმდებლობის შესაბამისად, არჩევითი ნაწილი იყოს გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტის ფარგლებშიც;
- რეკომენდებულია გასწორდეს პროგრამის კურიკულუმის მე-2 გვერდზე მოცემული „სწავლების ხანგრძლივობის“ აღწერითი ნაწილი;
- პროგრამის კურიკულუმის მე-6 და მე-7 გვერდებზე გაკეთებული ჩანაწერი ეხება მაგისტრატურას. ამასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია დაკორექტირდეს ჩანაწერი განათლების საფეხურის შესაბამისად;
- პროგრამის კურიკულუმის მე-8 გვერდზე მოცემულ „პროგრამის სტრუქტურაში“, მე-4 ხაზში V სემესტრიდან არასწორადაა ჩაწერილი კრედიტების რაოდენობები, რაც საბოლოო მცდარ ჯამურ მაჩვენებელს იძლევა (უნდა იყოს 53.5 კრედიტი, წერია 73.5). ამასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია გასწორდეს „პროგრამის სტრუქტურაში“ მითითებული კრედიტების რიცხობრივი მაჩვენებლები;
- პროგრამის სასწავლო გეგმაში, ასევე სტრუქტურაშიც (გვ. 9, გვ. 11) მოცემულია, რომ სწავლების მეორე წლის I სემესტრში სტუდენტი გადის 36.5 კრედიტს, ხოლო II სემესტრში 39.5 კრე-

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

დიტს, რაც ჯამურად ერთი სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს 76 კრედიტს. „უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების თანახმად დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღმატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს. ამასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია პროგრამის კრედიტებით გაანგარიშება შესაბამისობაში მოვიდეს აღნიშნულ ბრძანებასთან;

- პროგრამის მე-18 გვერდზე „საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები“-ს ცხრილში დაშვებულია უზუსტობა. კერძოდ, ბოლო სვეტში კურსის კრედიტად მითითებულია 30, ნაცვლად 10-ისა. ამასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია გასწორდეს აღნიშნული უზუსტობა;
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის სასწავლო კურსის შინაარსზე დაყრდნობით მოხდეს სილაბუსებში მითითებული მიზნების განსაზღვრა;
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისად მოხდეს სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების ზუსტი განსაზღვრა;
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
- რეკომენდებულია გადაიხედოს და ურთიერთ შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში წინაპირობების სახით მისათითებელი და პროგრამის სასწავლო გეგმაში არსებული სასწავლო კურსების სახელწოდებები;
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და დაზუსტდეს დაშვების წინაპირობების გრაფაში მისათითებელი ინფორმაცია (მათ შორის, წინაპირობის არ არსებობის შემთხვევაში მიეთითოს მაგ., „წინაპირობის გარეშე“ ან სხვ.);
- რეკომენდებულია გადაიხედოს და ურთიერთ შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული სასწავლო კურსების სახელწოდებები;
- რეკომენდებულია „მსოფლიო ხელოვნების ისტორიის“ ოთხივე სილაბუსში (შეფასების ნაწილში) არსებული ჩანაწერი დაკორექტირდეს პროგრამის განათლების საფეხურის შესაბამისად;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი და საჭიროების შემთხვევაში დაკორექტირდეს მითითებული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის კრილში;
- რადგან პროგრამაზე დაშვების წინაპირობად არ არის განსაზღვრული კონკრეტული უცხოური ენ(ებ)ის ფლობა, რეკომენდებულია სილაბუსებში ძირითად ლიტერატურად იყოს გამოყენებული ქართულენოვანი სახელმძღვანელოები/სხვ. ან უცხოენოვანი რესურსების საფუძველზე შექმნილი ქართულენოვანი სასწავლო მასალა;
- რეკომენდებულია, სილაბუსებში ლიტერატურა ისეთი ფორმით იყოს მითითებული, რომ იძლეოდეს ამ სახელმძღვანელოს შესახებ სრულ ინფორმაციას (ავტორი, დასახელება, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი და წელი);
- განახლდეს ლიტერატურა ცალკეულ სასწავლო კურსებში;
- პროგრამის მე-16 გვერდზე გასწორდეს პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის დაცვასთან დაკავშირებული ხარვეზი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილეს ბრძანებით (MES 9 23 0001707004, 13/12/2023) შექმნილ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს (ნინო ხაბეიშვილი, თავმჯდომარე; თამარ გვიანიშვილი, წევრი) დაევალა სსიპ

„თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის“ (შემდგომში - დაწესებულება) მიერ ცენტრში წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „არქიტექტურის რესტავრაცია“ (შემდგომში - პროგრამა) და თანდართული დოკუმენტების შესწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების (სხდომის ოქმში (MES 5 23 0000913877, 21/07/2023) შესრულების შესწავლის მიზნით, აღნიშნულზე დასკვნის შედგენა და ცენტრში წარდგენა. ექსპერტებს მიეწოდათ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, რომელიც ექსპერტებმა შეისწავლეს დამოუკიდებლად, შემდგომ კი მოხდა მოსაზრებების და მიგნებების ურთიერთგაცვლა, შეფასების შედეგების საბოლოო შეჯერება და წინამდებარე დასკვნის ჩამოყალიბება. შეფასებისათვის განხილულ იქნა მხოლოდ პირველ სტანდარტთან (ქვესტანდარტებთან) შესაბამისობა, რომლებსაც ეხებოდა გაცემული რეკომენდაციები - დაწესებულების მიერ სავალდებულოდ შესასრულებელი რეკომენდაციებისა და არასავალდებულო ხასიათის რჩევების შესრულების შედეგები წარმოდგენილია წინამდებარე დასკვნის აღწერა-შეფასების ნაწილში.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წინამდებარე შეფასების შედეგები:

I სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

- 1.1 პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 1.5 სასწავლო კურსი/საგანი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

უკვე განხორციელებული (აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 5 23 0000913877, 21/07/2023) და წინამდებარე შეფასების შედეგების შეჯამებით:

I სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

- 1.1 პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 1.5 სასწავლო კურსი/საგანი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

II სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

- 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.4 სტუდენტების შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

IV სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

- 4.1 ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

• **რეკომენდაციები**

1.5.

- რეკომენდებულია გამოირიცხოს ხარვეზები - გადაიხედოს სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები და შესაბამისი ინფორმაცია აისახოს პროგრამის კურიკულუმსა და სილაბუსში.
- რეკომენდებულია გასწორდეს პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის დაცვასთან დაკავშირებული ხარვეზი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- 1.1.

- მნიშვნელოვანია გამოირიცხოს უზუსტობები - დაკორექტირდეს პროგრამის კურიკულუმში და დაწესებულების ვებ-გვერდზე (<https://art.edu.ge/acgeo/index.php?do=cat&category=2-3-1-3>) მითითებული პროგრამის სახელწოდება - ნაცვლად „არქიტექტურის რესტავრაცია/კონსერვაციისა“ მიეთითოს „არქიტექტურის რესტავრაცია“, ასევე კურიკულუმის ტექსტში გამოირიცხოს სხვა ანალოგიური შეუსაბამო ჩანაწერების (მაგ., „არქიტექტურის რესტავრაცია-კონსერვაციის სპეციალობაში ბაკალავრის ხარისხი“) გამოყენება.

- 1.4.

- მნიშვნელოვანია გამოირიცხოს უზუსტობები - დაკორექტირდეს „პროგრამის სტრუქტურაში“ მითითებული კრედიტების რიცხოვრივი მაჩვენებლები.
 - მიზანშეწონილია პროგრამის სტრუქტურაში მკაფიოდ ჩანდეს „არჩევითი საგნების“ ნუსხაში რომელი მიეკუთვნება თავისუფალ კომპონენტს და რომელი ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის კურსებს.

- 1.5

- მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მუშაობა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის განახლების მიმართულებით.
 - მიზანშეწონილია მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა და საჭიროებისამებრ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში აისახოს, რომ სასწავლო კურსის ათვისების შემდეგ ამათუ იმ შედეგზე გადის სტუდენტი და არა ბაკალავრი.
 - მიზანშეწონილია სილაბუსების გადახედვა და საჭიროებისამებრ ლიტერატურის მიეთითება ისეთი ფორმით რომ იძლეოდეს ამ სახელმძღვანელოს შესახებ სრულ ინფორმაციას - ავტორი, დასახელება, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი და წელი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵ - არ არის.**
- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

- რეკომენდაციებთან მიმართებაში თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი ყურადღებით გაეცნო "არქიტექტურის რესტავრაციის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის დასკვნის პროექტს და სრულ მზაობას გამოთქვამს გაითვალისწინოს ექსპერტების მიერ პროგრამების განვითარებისათვის გამოთქმული მოსაზრებები.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას გაეცნოს შესრულებული რეკომენდაციების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რეკომენდაციები და შეფასებები რჩება უცვლელად.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - არ არის.**

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

რეკომენდაცია #01 – „რეკომენდებულია შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის კურიკულუმში და დაწესებულების ვებ-გვერდზე მოცემული ინფორმაცია, რადგან წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის პირველ გვერდზე მოცემული პროგრამის სახელწოდება „არქიტექტურის რესტავრაცია/კონსერვაცია“ (დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს სხდომაზე 2020 წლის 27 ივნისი, ოქმი № 9) და ასევე დაწესებულების ვებ-გვერდზე პროგრამის შესახებ მოცემული ინფორმაცია არ შეესაბამება მოდიფიცირების შემდგომ (თვითშეფასების ანგარიშში მითითებულ) პროგრამის სახელწოდებას „არქიტექტურის რესტავრაცია“.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშით დგინდება, რომ საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება ჩასწორდა ვებგვერდზე პროგრამის კურიკულუმის შესაბამისად. თუმცა, ვებგვერდზე (<https://art.edu.ge/acgeo/index.php?do=cat&category=2-3-1-3>), ასევე პროგრამის კურიკულუმში (დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს სხდომაზე 2023 წლის 1 სექტემბერს, ოქმი №32) პირველ და მე-2 გვერდებზე პროგრამის სახელწოდებად კვლავ მითითებული „არქიტექტურის რესტავრაცია/კონსერვაცია“ არ არის შესაბამისობაში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით (MES 9 23 0001707004, 13.12.2023) განსახილველად წარმოდგენილი „არქიტექტურის რესტავრაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებასთან. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია დაკორექტირდეს დაწესებულების ვებგვერდზე და პროგრამის კურიკულუმში მითითებული პროგრამის სახელწოდება - ნაცვლად „არქიტექტურის რესტავრაცია/კონსერვაციისა“ მიეთითოს „არქიტექტურის რესტავრაცია“, ასევე კურიკულუმის ტექსტში უნდა გამოირიცხოს სხვა ანალოგიური შეუსაბამო ჩანაწერების (მაგ., „არქიტექტურის რესტავრაცია-კონსერვაციის სპეციალობაში ბაკალავრის ხარისხი“) გამოყენება.

რჩევა - სასურველია პროგრამის მიზანში არსებული ჩანაწერი: „შეძლებს არქიტექტურული ძეგლის რესტავრაცია პროექტის შედგენას“ დაკონკრეტდეს „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში“ კვალიფიკაციის დონის (ბაკალავრიატი) აღწერში მოცემული განმარტების შესაბამისად, კერძოდ მიეთითოს, რომ კურსდამთავრებული არქიტექტურული ძეგლის სარესტავრაციო პროექტის შედგენას შესძლებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. ასევე სასურველია პროგრამის მიზანის გრამატიკულად გამართვა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშითა და პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა რჩევა და შედეგად, დააკორექტირა და გრამატიკულად გამართა პროგრამის მიზანი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- პროგრამის კურიკულუმი.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მნიშვნელოვანია გამოირიცხოს უზუსტობები - დაკორექტირდეს პროგრამის კურიკულუმში და დაწესებულების ვებ-გვერდზე (<https://art.edu.ge/acgeo/index.php?do=cat&category=2-3-1-3>) მითითებული პროგრამის სახელწოდება - ნაცვლად „არქიტექტურის რესტავრაცია/კონსერვაციისა“ მიეთითოს „არქიტექტურის რესტავრაცია“, ასევე კურიკულუმის ტექსტში გამოირიცხოს სხვა ანალოგიური შეუსაბამო ჩანაწერების (მაგ., „არქიტექტურის რესტავრაცია-კონსერვაციის სპეციალობაში ბაკალავრის ხარისხი“) გამოყენება.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

რეკომენდაცია - არ არის.

რჩევა - სასურველის მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა, რადგან რიგ შემთხვევაში დასაკორექტირებელი სწავლის შედეგების ფორმულირება ან/და მათი კუთვნილება კატეგორიებთან „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარები“ ან/და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშითა და პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა რჩევა და მისი გათვალისწინებით მოახდინა პროგრამის სწავლის შედეგების დაკორექტირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- პროგრამის კურიკულუმი.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

რეკომენდაცია #01 - რეკომენდებულია, საკითხის კომპლექსური გააზრების საფუძველზე განისაზღვროს პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსი და მათი როლი შედეგის ფორმირებაში (საფუძვლების შექმნა, გაღრმავება, განმტკიცება), ასევე, დაკორექტირდეს „სწავლის შედეგების შეფასების“ რუკა“ - მიეთითოს ყველა ის სასწავლო კურსი, რომელიც მონაწილეობს პროგრამის შედეგების ფორმირებაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშით, მისი დანართებით („სწავლის შედეგების შეფასების“ რუკა“ #1-#2) და პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- პროგრამის კურიკულუმი;
- სწავლის შედეგების რუკები #1, #2.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

რეკომენდაცია #01 - რეკომენდებულია, კანონმდებლობის შესაბამისად, არჩევითი ნაწილი იყოს გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტის ფარგლებშიც;

პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ დაწესებულებამ პროგრამის სტრუქტურაში გაითვალისწინა არჩევითი საგნები (იყო „თავისუფალი კომპონენტი (არჩევითი)“ და არის „არჩევითი საგნები“). თუმცა მიზანშეწონილია პროგრამის სტრუქტურაში მკაფიოდ ჩანდეს „არჩევი-

თი საგნების“ ნუსხაში რომელი მიეკუთვნება თავისუფალ კომპონენტს და რომელი ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის კურსებს.

რეკომენდაცია #02 - რეკომენდებულია გასწორდეს პროგრამის კურიკულუმის მე-2 გვერდზე მოცემული „სწავლების ხანგრძლივობის“ აღწერითი ნაწილი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშით და პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ რეკომენდაცია შესრულებულია, კერძოდ, პროგრამის კურიკულუმის მე-2 გვერდზე მოცემული სწავლების ხანგრძლივობის აღწერითი ნაწილი შესაბამისობაში მოვიდა სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესთან (მუხლი 15, პუნქტი 15.3) და ამჟამად წარმოდგენილია შემდეგი სახით: „სწავლების ხანგრძლივობა - 4 აკადემიური წელი, 8 სემესტრი. აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისაგან. სემესტრის ხანგრძლივობა არის 21 კვირა, მათ შორის: სალექციო – 15, სასესიო – 3 და პრაქტიკის – 2, დამატებითი გამოცდისთვის – 1 კვირა“.

რეკომენდაცია #03 - პროგრამის კურიკულუმის მე-6 და მე-7 გვერდებზე გაკეთებული ჩანაწერი ეხება მაგისტრატურას. ამასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია დაკორექტირდეს ჩანაწერი განათლების საფეხურის შესაბამისად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშით და პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ რეკომენდაცია შესრულებულია. კერძოდ, პროგრამის კურიკულუმის მე-6 და მე-7 გვერდებზე გაკეთებული ჩანაწერი დაკორექტირდა განათლების საფეხურის შესაბამისად.

რეკომენდაცია #04 - პროგრამის კურიკულუმის მე-8 გვერდზე მოცემულ „პროგრამის სტრუქტურაში“, მე-4 ხაზში V სემესტრიდან არასწორადაა ჩაწერილი კრედიტების რაოდენობები, რაც საბოლოო მცდარ ჯამურ მაჩვენებელს იძლევა (უნდა იყოს 53.5 კრედიტი, წერია 73.5). ამასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია გასწორდეს „პროგრამის სტრუქტურაში“ მითითებული კრედიტების რიცხოზომიერი მაჩვენებლები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშით და პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ პროგრამის კურიკულუმის მე-8 გვერდზე „პროგრამის სტრუქტურაში“ მითითებული კრედიტების რიცხოზომიერი მაჩვენებლები შეიცვალა. თუმცა „პროგრამის სტრუქტურაში“ ბოლო გრაფაში „სულ ECTS“ მითითებული კრედიტების რაოდენობები არ შეესაბამება „სასწავლო გეგმის“ ბოლო გრაფაში „სულ ECTS“ მოცემულ კრედიტების რაოდენობებს. ასევე, „პროგრამის სტრუქტურაში“ არჩევითი საგნებისთვის განსაზღვრული კრედიტები არ შეესაბამება „სასწავლო გეგმით“ არჩევითი საგნებისთვის გამოყოფილ კრედიტებს, „პროგრამის სტრუქტურაში“ თავისუფალი დისციპლინებისთვის სემესტრების მიხედვით განსაზღვრული კრედიტები არ შეესაბამება „სასწავლო გეგმით“ მათთვის გამოყოფილ კრედიტებს და ა.შ. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია სრულად გამოირიცხოს უზუსტობები - „პროგრამის სტრუქტურაში“ მითითებული კრედიტების რიცხოზომიერი მაჩვენებლები.

რეკომენდაცია #05 - პროგრამის სასწავლო გეგმაში, ასევე სტრუქტურაშიც (გვ. 9, გვ. 11) მოცემულია, რომ სწავლების მეორე წლის I სემესტრში სტუდენტი გადის 36.5 კრედიტს, ხოლო II სემესტრში 39.5 კრედიტს, რაც ჯამურად ერთი სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს 76 კრედიტს. „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების თანახმად დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს. ამასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია პროგრამის კრედიტებით გაანგარიშება შესაბამისობაში მოვიდეს აღნიშნულ ბრძანებასთან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშით და პროგრამის კურიკულუმში მოცემული „სასწავლო გეგმით“ დასტურდება, რომ პროგრამის კრედიტებით გაანგარიშება შესაბამისობაშია მოყვანილი „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებასთან. თუმცა კურიკულუმის მე-8

გვერდზე წარმოდგენილი „პროგრამის სტრუქტურის“ ბოლო გრაფის „სულ ECTS“ თანახმად სწავლების მე-3 და მე-4 სემესტრებში ჯამურად გასავლელი კრედიტები არის 76 (36.5+39.5). ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სრულად გამოირიცხოს უზუსტობები - დაკორექტირდეს პროგრამის სტრუქტურაში მოცემული რიცხობრივი მაჩვენებლები (აღნიშნულის ცალკე გამოტანა არ ხდება, რადგან - იხ. ჩანაწერი რეკომენდაცია #04-ის შესრულების შესახებ).

რეკომენდაცია #06 - პროგრამის მე-18 გვერდზე „საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები“-ს ცხრილში დაშვებულია უზუსტობა. კერძოდ, ბოლო სვეტში კურსის კრედიტად მითითებულია 30, ნაცვლად 10-ისა. ამასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია გასწორდეს აღნიშნული უზუსტობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშით და პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ რეკომენდაცია შესრულებულია.

რჩევა - პროგრამის შემადგენელი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია კურსზე დაშვების წინაპირობა, ასევე შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდი (ლექცია, სემინარი და ა.შ.). თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის სტრუქტურის უკეთ გააზრებისთვის სასურველია პროგრამის კომპონენტებზე (სასწავლო კურსები, სხვ.) დაშვების წინაპირობები ასევე, პროგრამის კურიკულუმშიც (სასწავლო გეგმაში) იყოს მითითებული.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშით და პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ აღნიშნული რჩევა დაწესებულებამ გაიზიარა და კურიკულუმის სასწავლო გეგმაში შეტანილი იქნა გრაფა „წინაპირობები“, სადაც ჩაიწერა ყველა სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- პროგრამის კურიკულუმი.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მნიშვნელოვანია გამოირიცხოს უზუსტობები - დაკორექტირდეს „პროგრამის სტრუქტურაში“ მითითებული კრედიტების რიცხობრივი მაჩვენებლები.
- მიზანშეწონილია პროგრამის სტრუქტურაში მკაფიოდ ჩანდეს „არჩევითი საგნების“ ნუსხაში რომელი მიეკუთვნება თავისუფალ კომპონენტს და რომელი ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის კურსებს.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

რეკომენდაცია #01 - რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის სასწავლო კურსის შინაარსზე დაყრდნობით მოხდეს სილაბუსებში მითითებული მიზნების განსაზღვრა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშით და შესაბამისი სილაბუსებით დასტურდება, რომ რეკომენდაცია შესრულებულია. კერძოდ, ყოველი სასწავლო კურსისთვის მის შინაარსზე დაყრდნობით მოხდა სილაბუსში მითითებული მიზნების განსაზღვრა.

რეკომენდაცია #02 - რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისად მოხდეს სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების ზუსტი განსაზღვრა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშით და შესაბამისი სილაბუსებით დასტურდება, რომ ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისად მოხდა სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების ზუსტი განსაზღვრა. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ფორმულირებისას აღნიშნულია, რომ ბაკალავრმა იცის, ბაკალავრი აცნობიერებს, ბაკალავრი ახდენს... და ა.შ. კერძოდ, სასწავლო კურსში „არქიტექტურის ძეგლთა რესტავრაცია 2“ ერთ-ერთი სწავლის შედეგია „ბაკალავრმა იცის არქიტექტურული ძეგლის აზომვის, ფოტო და გრაფიკული ფიქსაციის პრინციპები“, სასწავლო კურსში „არქიტექტურის ძეგლების რესტავრაციის საფუძვლები, - „ბაკალავრი აცნობიერებს და სათანადოდ აფასებს კულტურული მემკვიდრეობის მხატვრულისტორიულ ღირებულებას“, სასწავლო კურსში „სამშენებლო მასალები და ქვები 1“ - „ბაკალავრი ახდენს ძეგლზე სამშენებლო მასალის იდენტიფიცირებას“ და ა.შ. ამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა და საჭიროებისამებრ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში აისახოს, რომ კურსის ათვისების შემდეგ ამა-თუ იმ შედეგზე გადის სტუდენტი და არა ბაკალავრი.

რეკომენდაცია #03 - რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშით და შესაბამისი სილაბუსებით დასტურდება, რომ რეკომენდაცია შესრულებულია. კერძოდ, ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები ერთმანეთთან შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია #04 - რეკომენდებულია გადაიხედოს და ურთიერთშესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში წინაპირობების სახით მისათითებელი და პროგრამის სასწავლო გეგმაში არსებული სასწავლო კურსების სახელწოდებები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშით, პროგრამის კურიკულუმითა და შესაბამისი სილაბუსებით დასტურდება, რომ რეკომენდაცია შესრულებულია. კერძოდ, ურთიერთშესაბამისობაშია მოყვანილი სასწავლო კურსების სილაბუსებში წინაპირობების სახით მითითებული და პროგრამის სასწავლო გეგმაში არსებული სასწავლო კურსების სახელწოდებები.

რეკომენდაცია #05 - რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და დაზუსტდეს დაშვების წინაპირობების გრაფაში მისათითებელი ინფორმაცია (მათ შორის, წინაპირობის არ არსებობის შემთხვევაში მიეთითოს მაგ., „წინაპირობის გარეშე“ ან სხვ.).

პროგრამის კურიკულუმისა და შესაბამისი სილაბუსების შესწავლით დგინდება, რომ უმეტეს შემთხვევაში სასწავლო კურსების სილაბუსებში დაშვების წინაპირობების გრაფაში მისათითებელი ინფორმაცია დაზუსტებულია. თუმცა, რიგ შემთხვევებში, სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობად მითითებული კურსი ისწავლება იმავე სემესტრში (მაგ.: „სამშენებლო მასალები და ქვები 1“ ისწავლება V სემესტრში, ასევე V სემესტრში ისწავლება „არაორგანული ქიმია“, რომელიც ამ საგნის დაშვების წინაპირობაა) ან მომდევნო სემესტრში (მაგ.: „კონსტრუქციები რესტავრაციაში 1“ ისწავლება III სემესტრში, ხოლო კურსი, რომელიც მისი დაშვების წინაპირობაა „არქიტექტურული კონსტრუქციები 2“ ისწავლება IV სემესტრში). ამასთან დაკავშირებით

აუცილებელია სრულად გასწორდეს ხარვეზები - გადაიხედოს სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები და შესაბამისი ინფორმაცია აისახოს პროგრამის კურიკულუმსა და სილაბუსში.

რეკომენდაცია #06 - რეკომენდებულია გადაიხედოს და ურთიერთშესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული სასწავლო კურსების სახელწოდებები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშით, პროგრამის კურიკულუმითა და შესაბამისი სილაბუსებით დასტურდება, რომ რეკომენდაცია შესრულებულია. კერძოდ, ურთიერთშესაბამისობაში მოვიდა სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული სასწავლო კურსების სახელწოდებები.

რეკომენდაცია #07 - რეკომენდებულია „მსოფლიო ხელოვნების ისტორიის“ 4-ივე სილაბუსში (შეფასების ნაწილში) არსებული ჩანაწერი დაკორექტირდეს პროგრამის განათლების საფეხურის შესაბამისად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშითა და შესაბამისი სილაბუსებით დასტურდება, რომ რეკომენდაცია შესრულებულია. კერძოდ, „მსოფლიო ხელოვნების ისტორიის“ 4-ივე სილაბუსში (შეფასების ნაწილში) არსებული ჩანაწერი დაკორექტირდა პროგრამის განათლების საფეხურის შესაბამისად.

რეკომენდაცია #08 - რეკომენდებულია, გადაიხედოს ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი და საჭიროების შემთხვევაში დაკორექტირდეს მითითებული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის კრილში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშითა და შესაბამისი სილაბუსებით დასტურდება, რომ რეკომენდაცია შესრულებულია. კერძოდ, სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან.

რეკომენდაცია #09 - რადგან პროგრამაზე დაშვების წინაპირობად არ არის განსაზღვრული კონკრეტული უცხოური ენ(ებ)ის ფლობა, რეკომენდებულია სილაბუსებში ძირითად ლიტერატურად იყოს გამოყენებული ქართულენოვანი სახელმძღვანელოები/სხვ. ან უცხოენოვანი რესურსების საფუძველზე შექმნილი ქართულენოვანი სასწავლო მასალა .

შესაბამისი სილაბუსებით დასტურდება, რომ რეკომენდაცია შესრულებულია. კერძოდ, სილაბუსებში ძირითად ლიტერატურად მითითებულია ქართულენოვანი სახელმძღვანელოებიც.

რეკომენდაცია #10 - რეკომენდებულია, სილაბუსებში ლიტერატურა ისეთი ფორმით იყოს მითითებული, რომ იძლეოდეს ამ სახელმძღვანელოს შესახებ სრულ ინფორმაციას (ავტორი, დასახელება, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი და წელი).

შესაბამისი სილაბუსებით დასტურდება, რომ აღნიშნული რეკომენდაცია უმეტეს შემთხვევაში შესრულებულია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სახელმძღვანელოს შესახებ მოცემული ინფორმაცია არასრულია (მაგ. „არქიტექტურის ძეგლის ადაპტაცია 1“, „არქიტექტურის ძეგლის ადაპტაცია 2“, „არქიტექტურის ძეგლთა რესტავრაცია 1“, „არქიტექტურის ძეგლთა რესტავრაცია 2“ და ა.შ.). ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია სილაბუსების გადახედვა და საჭიროებისამებრ ლიტერატურის მიეთითება ისეთი ფორმით რომ იძლეოდეს ამ სახელმძღვანელოს შესახებ სრულ ინფორმაციას - ავტორი, დასახელება, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი და წელი.

რეკომენდაცია #11 - განახლდეს ლიტერატურა ცალკეულ სასწავლო კურსებში.

შესაბამისი სილაბუსებით დასტურდება, რომ რიგ სასწავლო კურსებში (მაგ. „კონსტრუქციები რესტავრაციაში 1“, „კონსტრუქციები რესტავრაციაში 2“, „არქიტექტურული კონსტრუქციები 1“, „არქიტექტურული კონსტრუქციები 2“ და სხვ.) მოხდა სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის განახლება. თუცა, ზოგიერთ შემთხვევაში სასწავლო კურსის ძირითად და დამხმარე ლიტერატურად მითითებული რესურსი მოძველებულია (მაგ. „სამშენებლო მასალები და ქვის ტიპები 1“-ში და სამშენებლო მასალები და ქვის ტიპები 2“-ში მითითებული უახლესი სასწავლო მასალა - კონსპექტი 2012 წელსაა შექმნილი, სასწავლო კურსში „სამშენებლო მექანიკა“ მითითებული უახლესი სასწავლო მასალა 2005 წლის გამოცემა, სასწავლო კურსის „ქალაქგეგმარების ისტორია“ ძირითადი უახლესი ლიტერატურა 1978 წლის გამოცემა და ა.შ.). ამასთან დაკავშირე-

ბით უნდა გაგრძელდეს მუშაობა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის განახლების მიმართულებით.

რეკომენდაცია #12 - პროგრამის მე-16 გვერდზე გასწორდეს პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის დაცვასთან დაკავშირებული ხარვეზი.

რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული (ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას ამ რეკომენდაციის შესრულების შესახებ). ამდენად უნდა გასწორდეს პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის დაცვასთან დაკავშირებული ხარვეზი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გამოირიცხოს ხარვეზები - გადაიხედოს სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები და შესაბამისი ინფორმაცია აისახოს პროგრამის კურიკულუმსა და სილაბუსში.
- რეკომენდებულია გასწორდეს პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის დაცვასთან დაკავშირებული ხარვეზი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მუშაობა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის განახლების მიმართულებით.
- მიზანშეწონილია მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა და საჭიროებისამებრ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში აისახოს, რომ სასწავლო კურსის ათვისების შემდეგ ამათუ იმ შედეგზე გადის სტუდენტი და არა ბაკალავრი.
- მიზანშეწონილია სილაბუსების გადახედვა და საჭიროებისამებრ ლიტერატურის მიეთითება ისეთი ფორმით რომ იძლეოდეს ამ სახელმძღვანელოს შესახებ სრულ ინფორმაციას - ავტორი, დასახელება, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი და წელი.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

რეკომენდაცია - არ არის.

რჩევა - თუ დაწესებულება უშვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე და მობილობით პროგრამაზე სტუდენტთა მიღების შესაძლებლობას, მაშინ სასურველია აღნიშნული იყოს მითითებული პროგრამის კურიკულუმში და დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშით და პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ აღნიშნული რჩევა დაწესებულებამ გაიზიარა და პროგრამის კურიკულუმში გაკეთდა ჩანაწერი: „ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე თსსა-ში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად (მიღების პროცედურა გაწერილია თსსა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. მუხლი 7)“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- პროგრამის კურიკულუმი.
- თსსა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი (მუხლი 7).

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

რეკომენდაცია - არ არის.

რჩევა - შპს „ერდო“-სთან გაფორმებულ მემორანდუმში პირველი აბზაცის ბოლოს შპს „ერდო“-ს ნაცვლად წერია „ნიკოლო და ვაჟები“. სასურველია ამ უზუსტობის დაკორექტირება.

დაწესებულების მიერ მემორანდუმის ნაცვლად წარმოდგენილი შპს „ერდო“-სთან გაფორმებული ხელშეკრულებით დასტურდება, რომ უზუსტობა გასწორებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- შპს „ერდო“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

რეკომენდაცია - არ არის.

რჩევა #01 - მიზანშეწონილია დაკორექტირდეს პროგრამის კურიკულუმში არსებული ჩანაწერი დამატებითი გამოცდის დანიშვნის ვადებთან დაკავშირებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშით და პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ პროგრამის კურიკულუმში „შეფასების სისტემა“-ს ფარგლებში დაემატა ჩანაწერი „დასკვნით გამოცდაზე (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს აქვს ერთხელ გადაბარების უფლება. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის განმავლობაში“.

რჩევა #02 - მიზანშეწონილია, შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მიეთითოს ყველა სილაბუსში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშით და შესაბამისი სილაბუსებით დასტურდება, რომ შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მიეთითა ყველა სილაბუსის მე-12 პუნქტში „შეფასების სისტემა“.

რჩევა #03 - მიზანშეწონილია გაუქმდეს სილაბუსებში შეფასების მეთოდად მითითებული „დასწრება“ და მისი ქულა გადანაწილდეს შუალედური შეფასებების სხვა კომპონენტებზე, რადგან „დასწრება“ ვერ იქნება გამოყენებული როგორც შეფასების მეთოდი ანუ „საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება“.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშით და შესაბამისი სილაბუსებით დასტურდება, რომ აღნიშნული რჩევა დაწესებულებამ გათვალისწინა და თსსა აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით (თსსა აკადემიური საბჭოს ოქმი N 20. 20/04/2023) დასწრების 10 ქულა შემდეგნაირად გაიწერა: აქტივობა -10 ქულა (პედაგოგის არჩევანის მიხედვით, 5 ლექციაზე განვლილი ფაქტობრივი მასალის ზეპირი გამოკითხვა, თითოეული - 2 ქულით ფასდება).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;

- პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში): არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ თბილისის აპ. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

არქიტექტურის რესტავრაცია, ბაკალავრიატი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტანდარტები				
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ნინო ხაბეიშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა - თამარ გვიანიშვილი

